ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-60

2010 წლის 12 ივლისი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „დელტა-კომმი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შ.პ.ს. „დელტა-კომმი“-ს მიერ იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობა, რომელიც გაივლის არსებულ საკომუნიკაციო შახტებში, კერძო მიწის ნაკვეთებში და საზოგადოებრივ ტერიტორიაზე.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საავტომობილო გზებზე სიჩქარის მონიტორინგისა და ვიზუალური კონტროლის სისტემის დანერგვას.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №-140 დადგენილების „ მშენებლობის ნებართვის კანონის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-9 მუხლის 3-ა პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დაკმაყოფილდეს შ.პ.ს. „დელტა-კომმი“-ს თხოვნა და მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობაზე თანახმად დანართისა.

2. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „დელტა-კომმი“ მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

3. შ.პ.ს. „დელტა-კომმა“ უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი და ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილი გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ.ბერაძე**